ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25) 30 აპრილი 2012 წელი

ბრძანება №70

ნანა თავდუმაძის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39^1-ე მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსი – ნანა თავდუმაძე, უკრაინის რესპუბლიკის ქალაქ უკრაინკაში, „ქალაქების მდგრადი განვითარების“ პროექტის ფარგლებში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით ამ/წ. 1 მაისიდან ამ/წ. 7 მაისის ჩათვლით.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროს – ნანა თავდუმაძეს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer